

შპს ალტა რითეილი

წლიური ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნები


2024 წელი

ზოგადი სარჩევი

წლიური ანგარიშის წარსადგენად დამტკიცება	A
2024 ფინანსური წლის მმართველობის ანგარიში.....	i
ფინანსური ანგარიშგება	14

წლიური ანგარიშის წარსადგენად დამტკიცება

წინამდებარე 2024 წლის წლიური ანგარიში: მმართველობის ანგარიში (საქმიანობის მიმოხილვა) და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია შპს ალტა რითეილი-ს ხელმძღვანელობის მიერ:

თანამდებობა	სახელი, გვარი, ხელმოწერა	თარიღი
დირექტორი	ნ. ბაინდურაშვილი 	01-10-2025
ფინანსური დირექტორი	ლ. დევდარიანი 	01-10-2025

შპს ალტა რითეილი

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31
დეკემბერს

შინაარსი:

ზოგადი ინფორმაცია	3
კომპანიის განვითარების მიზნები და მომხმარებლებზე ზრუნვა	4
კომპანიის ძირითადი კონკურენტები	4
დასაქმებულები	4
ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	4
კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა	5
მაკროეკონომიკური გარემო, რისკები და კონკურენცია	5
კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები	5
არაფინანსური მაჩვენებლები	7

საქმიანობის მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ალტა რითეილი“ არის კომპანია, რომელიც შეიქმნა „ალტაოქეის“ რეზერენდინგის საფუძველზე 2019 წელს, მას შემდეგ, რაც კომპანია ალტამ შეიძინა შპს „ოქეისგან“ 50%-იანი წილი. შპს „ალტაოქეი“ 2016 წლის 11 მაისს დააარსა შპს „ალტამ“, რომელიც 1998 წლიდან კომპიუტერული ტექნიკის ბაზრის ლიდერი იყო და შპს ოქეიმ, რომელიც ერთ-ერთ ლიდერს წარმოადგენდა საყოფაცხოვრებო ტექნიკის ბაზარზე.

კომპანია „ალტა რითეილის“ საქმიანობის სფერო მოიცავს სამომხმარებლო ელექტრონული ტექნიკის რეალიზაციას (მობილური ტელეფონები, კომპიუტერული ტექნიკა, აუდიო-ვიდეო ტექნიკა, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, აქსესუარები) და მასთან დაკავშირებული სერვისების შეთავაზებას მომხმარებელთათვის.

„ალტა რითეილი“ წარმოადგენს საცალო გაყიდვის ქსელს, რომელიც საქმიანობს ადგილობრივ ბაზარზე, არ არის იმპორტიორი (არ არის შემომტანი) და საქონელს იღებს ადგილობრივი მომწოდებლებისგან, რომელთაგან ძირითადი არის „ალტა“. კომპანიაში შემოდის სხვადასხვა ბრენდის მხოლოდ ოფიციალური პროდუქცია, რაშიც კონკურენტული უპირატესობა აქვს ბაზრის ბევრ მოთამაშესთან შედარებით.

„ალტა რითეილი“ სამომხმარებლო ბაზრის ერთ-ერთი ლიდერია, 2024 წელს წარმოდგენილი იყო საქართველოს 7 ქალაქში 16 მაღაზიითა და ინტერნეტ მაღაზიით:

- მაღაზია ქავთარამეზე - ქ.თბილისი, პეტრე ქავთარამის ქ.1, სავაჭრო ცენტრი "სითი მოლი"
- საბურთალოს მაღაზია - ქ.თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 5
- მაღაზია თბილისი მოლში - ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-16 კმ, სავაჭრო ცენტრი "თბილისი მოლი", I სართული
- მაღაზია ისთ ფონთში - ქ.თბილისი, თვალჭრელიძის 2, სავაჭრო და გასართობი ცენტრი "ისტ ფონთი", I სართული
- მაღაზია გლდანში - ქ.თბილისი, ხიზაბავრის ქ. 1, სავაჭრო ცენტრი "სითი მოლი"
- მაღაზია თბილისი ცენტრალში - ქ.თბილისი, სადგურის მოედანი 2, სავაჭრო ცენტრი "თბილისი ცენტრალი", I სართული
- მაღაზია ჰუალინგ პლაზაში - ქ.თბილისი, ჯ.ლეჟავას ქ.22
- მაღაზია ვაკეში - ქ.თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 37მ, სავაჭრო ცენტრი „აქსის თაუერსი“
- მაღაზია რუსთავში - ქ.რუსთავი, შარტავას გამზირი 2გ
- მაღაზია ქუთაისში - ქ.ქუთაისი, წერეთლის ქ. 4, სავაჭრო ცენტრი "ქარვასლა"
- მაღაზია ქუთაისში - ქ.ქუთაისი, ჟიული შარტავას ქ.2, სავაჭრო ცენტრი „ვესთ ფონთი“
- მაღაზია თელავში - ქ.თელავი, ალაზნის გამზირი 77
- მაღაზია ბათუმში - ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის ქ.31
- მაღაზია ბათუმში - ქ.ბათუმი, ლეხ და მარია კაჩინსკების #1, სავაჭრო ცენტრი „მეტრო სითი“, I სართული
- მაღაზია ზუგდიდში - ქ.ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ.28, სავაჭრო ცენტრი „ზუგდიდი მოლი“
- მაღაზია გორში - ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი 14ა, გორი მოლი

ინტერნეტ მაღაზია- www.alta.ge

მმართველობის ანგარიშგება 2024

კომპანიის განვითარების მიზნები და მომხმარებლებზე ზრუნვა

„ალტა რითეილი“ მიყვება იმ გეგმას რომელიც კომპანიის ხელმძღვანელობამ და დამფუძნებლებმა დაისახეს. მთავარი მიზანი რაც კომპანიას გააჩნდა იყო ბაზრის წილის ზრდა, ქსელის გაფართოვება საქართველოს მასშტაბით. 2024 წელს გაიხსნა 1 მაღაზია - ქალაქ გორში.

„ალტა რითეილი“ განაგრძობს განვითარებას დასახული მიზნის მიხედვით. მომავალ პერიოდში დაგეგმილია ახალი მაღაზიების დამატება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ახალი ფორმატის შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნული მიზნის სწრაფად მისაღწევად კომპანია მიზნად ისახავს მომსახურების კიდევ უფრო გაუმჯობესებასა და მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდას. მიზნის მისაღწევად ტარდება ყოველდღიური ტრენინგები მომსახურებისა და გაყიდვების კუთხით. დაინერგა ახალი სერვისები და მომხმარებელს შევთავაზეთ ახალი პროდუქტები როგორც ტექნიკის, ასევე მომსახურების მიმართულებით.

„ალტა რითეილი“ მომხმარებლებს ერთ სივრცეში სთავაზობს მსოფლიოს წამყვანი ბრენდების ოფიციალურ ტექნიკას, ოფიციალური გარანტიით, ასევე საუკეთესო მომსახურებას კომპეტენტური კონსულტანტების მეშვეობით. კომპანიაში მუდმივად ხდება პროდუქციის განახლება და ყოველთვის არის წარმოდგენილი ახალი მოდელები, მომხმარებლებს შეუძლიათ შეიძინონ „ფლაგმანები“, იმავე დღიდან, როდესაც მსოფლიოში ოფიციალური გაყიდვები იწყება.

კომპანიის ძირითადი კონკურენტები

საქართველოში ელექტრონული ტექნიკის ბაზარი ბოლო პერიოდში ძალიან განვითარდა, ხოლო კონკურენცია გამძაფრდა, რაც ძირითადად საფასო კონკურენციით გამოიხატება. გაძლიერდა პარალელური იმპორტი, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს არაოფიციალურ პროდუქციას შედარებით დაბალ ფასად.

კომპანია ძირითად კონკურენტებად მიიჩნევს შემდეგ მაღაზიათა ქსელებს:

- ელიტ ელექტრონიქსი
- ზუმერი
- კონტაქტ ჰოუმი
- მეგატექნიკა

დასაქმებულები

კომპანიაში 2023 წლის განმავლობაში დასაქმებული იყო საშუალოდ 303 ადამიანი, რომელთაგან 47% ქალია, 53% მამაკაცი. კომპანია მუდმივად ზრუნავს თავისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. თანამშრომლებს მუდმივ რეჟიმში უტარდება ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით. შტატში გვყავს რამდენიმე პროფესიონალი ტრენერი, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ კონსულტანტების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. 2021 წლიდან კომპანიაში შეიქმნა საბონუსე პოლიტიკა, რომელიც უფრო მეტადაა მიმართული გაყიდვების მოცულობის ზრდაზე.

კომპანია	სულ	ქალი	კაცი
	327	156	171
		48%	52%

ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2023 და 2024 წელს ადგილი არ ჰქონია აქციების შეძენას კომპანიის მიერ.

მმართველობის ანგარიშგება 2024

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

2023 და 2024 წლების განმავლობაში კომპანია არ ყოფილა ჩართული რაიმე კვლევის და განვითარების აქტივობაში.

მაკროეკონომიკური გარემო, რისკები და კონკურენცია

კომპანიის სავაჭრო პროდუქტი 99 % იმპორტირებულია, შესაბამისად ფასების სტაბილურობა პირდაპირ კავშირშია ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის წარმართვასთან. საქართველო მცირე ზომის ღია ეკონომიკის ქვეყანაა. მიუხედავად დეფიციტის ბოლოდროინდელი შემცირებისა, იგი კვლავ მაღალია და ქვეყანა საგარეო წყაროებზე დამოკიდებული რჩება. შესაბამისად, მაღალია საქართველოს ეკონომიკის მგრძნობიარობა გლობალური და რეგიონული ეკონომიკური ზრდის შოკებისა და გლობალური ფინანსური პირობების ცვლილებების მიმართ. გარდა ამისა, საქართველოში ფინანსური სისტემის დოლარიზაცია ჯერ კიდევ მაღალია, რაც ამ შოკების ეფექტს ამწვავებს.

სავალუტო რისკი ტექნიკის ბაზრის ყველაზე დიდ რისკად იკვეთება, ფასების სტაბილურობა დამოკიდებულია გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე.

ტექნიკის ბაზარი ხასიათდება მაღალი კონკურენციით, კომპანია ყველა მსხვილ იმპორტიორ კომპანიას განიხილავს კონკურენტად, განსაკუთრებით აღსანიშნავია პარალელური იმპორტით მოვაჭრე კომპანიები.

რუსეთ-უკრაინის ომი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც მმართველობის ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობითაც მიმდინარეობს.

რუსეთის ფედერაციის უკრაინაში შეჭრამ და აღნიშნულ მოვლენაზე მსოფლიოს პასუხმა ამ საომარ მოქმედებებზე შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც საქმიანობენ უკრაინის, რუსეთის, ან ბელორუსიის ტერიტორიაზე, ისევე იმათზე, რომელთაც აქვთ არაპირდაპირი ინტერესი (ჰყავთ მომხმარებლები, მომწოდებლები და დამფუძნებლები). რუსეთის მთავრობისთვის, რუსული საწარმოებისთვის და რუსეთის მოქალაქე ფიზიკური პირებისთვის დაწესებულმა სანქციებმა შესაძლოა, შემდეგი გავლენა მოახდინოს საწარმოებზე - შეზღუდოს წვდომა მრავალ ფინანსურ რესურსზე და ზოგადად სავაჭრო საქმიანობაზე, რადგან სანქციები იმოქმედებს გლობალურ ფასებზე (მაგ. ნავთობი, ბუნებრივი გაზი და სხვა ნავთობპროდუქტი).

ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია ამ ეტაპზე შეაფასოს ამ ომის ეფექტი (შესაძლო ეფექტი) კომპანიის ოპერაციებზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე მმართველობის ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანიას არ აქვს არსებითი ოპერაციები უკრაინის, რუსეთისა და ბელორუსიის ბაზარზე მოქმედ პირებთან ან მოქალაქეებთან, რომელთაც შეეხოთ რუსეთ-უკრაინას შორის არსებული სამხედრო კონფლიქტი.

კომპანიის ფინანსური რისკების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	2023	2024
შემოსავალი	227,926,489	243,749,391
საოპერაციო მოგება	566,229	5,393,324
მთლიანი სრული შემოსავალი	(357,474)	3,710,864
სულ აქტივები	51,599,749	60,940,011
სულ კაპიტალი	13,197,788	16,908,790

მმართველობის ანგარიშგება 2024

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია კომპანიის ფინანსური კოეფიციენტები

	2023	2024
მიმდინარე ლიკვიდობა	1.17	1.37
სწრაფი ლიკვიდობა	0.25	0.18
ROE (ამონაგები კაპიტალზე)	-2.7%	24.7%
ROA (ამონაგები აქტივებზე)	-0.7%	6.6%
მარაგების ბრუნვა (დღე)	42	43
დებიტორული დავალიანების ბრუნვა (დღე)	3	2
კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი (დღე)	36	34

კოეფიციენტების დაანგარიშების წესისთვის, ასევე გადახრების შესაბამისი ახსნებისთვის იხილეთ ქვემოთ:

მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტები განსაზღვრავენ რა დონის მიმდინარე აქტივები გააჩნია კომპანიას მოკლევადიანი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდობის კოეფიციენტები პოტენციური ინვესტიციების და კრედიტორების, ასევე კომპანიის მფლობელებისა და ხელმძღვანელობისთვის პირველხარისხოვან ინტერესს წარმოადგენენ.

2024 წლის პერიოდში კოეფიციენტებში მნიშვნელოვანი უარყოფითი ცვლილება არ შეინიშნება, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანიის სწრაფად ლიკვიდური აქტივები სრულად ემსახურება შესაბამის ვალდებულებებს და კომპანიას არ გააჩნია დეფიციტი.

მიმდინარე ლიკვიდობა დაიანგარიშება მოკლევადიანი აქტივების შეფარდებით მოკლევადიან ვალდებულებებთან.

სწრაფი ლიკვიდობა დაიანგარიშება მარაგების გამოკლებით მოკლევადიანი აქტივების შეფარდებით მოკლევადიან ვალდებულებებთან.

საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა, იგივე უკუგება საკუთარ კაპიტალზე (*return on equity - ROE*), რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით: უკუგება საკუთარ კაპიტალზე ტოლია წმინდა მოგება შეფარდებული საკუთარ კაპიტალთან.

უკუგება აქტივებზე (*Return on assets- ROA*)-ტოლია წმინდა მოგება შეფარდებული საშუალო აქტივებთან.

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი- გვიჩვენებს რამდენად ეფექტურად მოძრაობს მარაგები კომპანიაში. ეს კოეფიციენტი ადგენს რამდენ ხანში აღდგენს კომპანია საშუალო მარაგს წელიწადში. კომპანიის შემთხვევაში ეს კოეფიციენტი არსებითად არ შეცვლილა.

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი დათვლილია შემდეგნაირად - ბრუნვის მთლიანი დღეები/(რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება/მარაგების საშუალო ღირებულება)

დებიტორული დავალიანების ბრუნვა- გვიჩვენებს რამდენ დღე სჭირდება საშუალოდ რეალიზაციის კონვერტირებას ფულში. დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი არსებითად არ შეცვლილა.

დებიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი დაითვლება შემდეგნაირად - ბრუნვის მთლიანი დღეები/(ამონაგები/სავაჭრო მოთხოვნების საშუალო ღირებულება)

კრედიტორული დავალიანების ბრუნვა- გვიჩვენებს რამდენი დღე სჭირდება საშუალოდ სავაჭრო დავალიანების დაფარვას. კრედიტორული დავალიანების ბრუნვადობა შემცირებულია, რაც გამოწვეულია იმით, რომ კომპანიამ შეამცირა დავალიანების ვადიანობა.

კრედიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი დათვლილია შემდეგნაირად - ბრუნვის მთლიანი დღეები/(რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება/სავაჭრო ვალდებულებების საშუალო ღირებულება).

მმართველობის ანგარიშგება 2024


არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი, რადგან აღნიშნული მაჩვენებლების წარმოდგენა არ იძლევა დამატებით სასარგებლო ინფორმაციას კომპანიის საქმიანობისა და მდგომარეობის გასაგებად.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

სხვა ფინანსური მაჩვენებლები იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

თანამდებობა	სახელი, გვარი, ხელმოწერა	თარიღი
დირექტორი	ნ. ბაინდურაშვილი 	01-10-2025
ფინანსური დირექტორი	ლ. დევდარიანი 	01-10-2025




შპს ალტა რითეილი
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა,
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2024 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	15
დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე	15
დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე	17
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	18
სრული შემოსავლის ანგარიშგება	19
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	20
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	21
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	22
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია.....	22
შენიშვნა 2. მომზადების საფუძვლები.....	22
შენიშვნა 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	22
შენიშვნა 4. ძირითადი საშუალებები	23
შენიშვნა 5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	24
შენიშვნა 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
შენიშვნა 7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	25
შენიშვნა 8. იჯარა.....	25
შენიშვნა 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27
შენიშვნა 10. შემოსავალი	27
შენიშვნა 11. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	28
შენიშვნა 12. სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები	28
შენიშვნა 13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	28
შენიშვნა 14. წმინდა ფინანსური ხარჯი	28
შენიშვნა 15. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმომომილ ვალდებულებებში	28
შენიშვნა 16. ფინანსური რისკის მართვა	29
შენიშვნა 17. დაკავშირებული მხარეები	31
შენიშვნა 18. განუსაზღვრელობა და პირობითი ვალდებულებები	32
შენიშვნა 19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები	32
შენიშვნა 20. სხვა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ალტა რითეილი“-ს აქციონერებს:

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს „ალტა რითეილი“-ს (შემდეგში, „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების (გვ. 18 - 37) აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისათვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე - ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგებაში, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშს (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად (იხილეთ გვ. 2 - 7), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ზომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვვალდება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ (იხილეთ გვ. 2 -7) მმართველობის ანგარიშზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ბ-ნი ბესიკ ბისეიშვილი.



ბესიკ ბისეიშვილი (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-988241)

პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

1 ოქტომბერი 2025 წელი

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31-დეკ-24	31-დეკ-23
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 4)	4,961	4,917
აქტივების გამოყენების უფლება (შენიშვნა 8)	23,704	16,874
არამატერიალური აქტივები	265	265
სულ გრძელვადიანი აქტივები	28,930	22,056
მოკლევადიანი აქტივები		
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები (შენიშვნა 5)	27,904	23,295
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 6)	1,558	1,605
საგადასახადო აქტივები	113	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 7)	2,441	4,644
სულ მოკლევადიანი აქტივები	32,016	29,544
სულ აქტივები	60,946	51,600
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	5,000	5,000
გაუნაწილებელი მოგება	11,909	8,198
სულ საკუთარი კაპიტალი	16,909	13,198
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი იჯარის ვალდებულებები (შენიშვნა 8)	20,744	13,240
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	20,744	13,240
მოკლევადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი იჯარის მიმდინარე ნაწილი (შენიშვნა 8)	18,834	20,714
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 9)	4,459	4,113
საგადასახადო ვალდებულებები	-	335
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	23,293	25,162
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	60,946	51,600

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს



ნ. ბაინდურაშვილი, დირექტორი



ლ. ლევდარიანი ფინანსური დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები (შენიშვნა 10)	243,749	227,926
გაყიდული საქონლის თვითღირებულება (შენიშვნა 11)	(212,201)	(202,594)
საერთო მოგება	31,548	25,332
სხვა შემოსავალი	295	-
სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები (შენიშვნა 12)	(24,893)	(23,258)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (შენიშვნა 13)	(1,557)	(1,507)
საოპერაციო მოგება	5,393	567
წმინდა ფინანსური ხარჯი (შენიშვნა 14)	(1,666)	(919)
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა	(16)	(5)
წმინდა მოგება (ზარალი)	3,711	(357)

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს



ნ. ბაინდურაშვილი, დირექტორი



ლ. დედარიანი ფინანსური დირექტორი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2024 წელი	2023 წელი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	281,990	270,958
მომწოდებლებსა გადახდილი ფული	(266,402)	(254,299)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(6,330)	(5,906)
გადახდილი გადასახადები	(4,247)	(3,333)
მიღებული პროცენტები	139	76
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოსვლა	5,150	7,496
გადახდილი პროცენტი (იჯარა)	(1,227)	(1,080)
საოპერაციო საქმიანობით მიღებული ფული	3,923	6,416
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,039)	(2,255)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გახარჯული ფული	(2,039)	(2,255)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან (შენიშვნა 15)		
იჯარის ვალდებულებები - ძირის დაფარვა	(4,088)	(3,682)
საფინანსო საქმიანობისათვის გახარჯული ფული	(4,088)	(3,682)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	(2,204)	479
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	4,644	4,169
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა	1	(4)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	2,441	4,644

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად 2025 წლის 1 ოქტომბერს



ნ. ბაინდურაშვილი, დირექტორი



ლ. ლევდარიანი ფინანსური დირექტორი

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	5,000	8,555
2023 წლის მოგება (ზარალი)	-	(357)
სხვა სრული შემოსავალი	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	5,000	8,198
2024 წლის მოგება (ზარალი)	-	3,711
სხვა სრული შემოსავალი	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	5,000	11,909

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს



ნ. ბაინდურაშვილი, დირექტორი



ლ. დევდარიანი ფინანსური დირექტორი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ალტა რითეილი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2015 წელს. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 402033312. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, #104.

კომპანიის ძირითადი საოპერაციო საქმიანობაა სხვადასხვა ბრენდის ელექტრონული მოწყობილობების და საყოფაცხოვრებო ტექნიკის საცალო ვაჭრობა.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი და მაკონტროლებელია შპს „ალტა“.

2024 წელს 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მაღაზიათა ქსელი მოიცავს 16 მაღაზიას (2023: 16) საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

კომპანიის ღირებულებაა ქალბატონი ნ. ბაინდურაშვილი.

შენიშვნა 2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კომპანია სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფუნქციონირებადი საწარმო - ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურა - არსებითი (მატერიალური) ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგებებში წარდგენილი ელემენტების (მუხლების) მიმართ მოცემულია ამ ელემენტის (მუხლის) შესაბამის მონეტარულ ახსნა-განმარტებით შენიშვნაში. სხვა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა მოცემულია მონეტარული ახსნა-განმარტებითი შენიშვნების შემდგომ.

შენიშვნა 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ა) იჯარის ვადების განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის საწარმო აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იგი გამოიყენებს იჯარის გაგრძელების, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას. საწარმო ითვალისწინებს ყველა სათანადო ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ეკონომიკურ სტიმულს უქმნის მოიჯარეს იმისთვის, რომ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება, მათ შორის იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან ამ არჩევანის უფლების გამოყენების თარიღამდე პერიოდში ფაქტებისა და გარემოებების მოსალოდნელ ცვლილებებს. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელ ფაქტორებს, სხვასთან ერთად, განეკუთვნება:

ა) არჩევით პერიოდებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პირობები, საბაზრო განაკვეთებთან შედარებით, როგორიცაა:

- (i) საიჯარო გადახდების ოდენობა ნებისმიერ არჩევით პერიოდში;

- (ii) ცვლადი საიჯარო გადახდების ან სხვა პირობითი გადახდების სიდიდე;
- (iii) ნებისმიერი არჩევანის უფლებების პირობები, რომლებიც გამოყენებას ექვემდებარება თავდაპირველი არჩევითი პერიოდების შემდეგ.

ბ) საიჯარო ქონების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომელიც განხორციელდა (ან მოსალოდნელია, რომ განხორციელდება) ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს მოიჯარეს, როდესაც შესაძლებელი იქნება იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების რეალიზება;

გ) იჯარის ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული დანახარჯები, როგორიცაა მოლაპარაკებების წარმოების დანახარჯები, აქტივის გადაადგილების დანახარჯები, სხვა საიჯარო აქტივის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელიც მოიჯარის საქმიანობების შესაფერისია, მოიჯარის ოპერაციებში ახალი აქტივის ინტეგრირების დანახარჯები, ან იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის განკუთვნილი ჯარიმები და სხვა ანალოგიური დანახარჯები, მათ შორის, რომლებიც დაკავშირებულია საიჯარო აქტივისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მდგომარეობის, ან საიჯარო აქტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილზე დაბრუნებასთან;

დ) საიჯარო აქტივის მნიშვნელობა მოიჯარის საქმიანობისთვის, მათ შორის, შემდეგი ასპექტების გათვალისწინება: საიჯარო აქტივი სპეციალიზებული აქტივია თუ არა, საიჯარო აქტივის ადგილმდებარეობა და შესაფერისი ალტერნატიული ვარიანტების არსებობა; და

ე) არჩევანის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული პირობითობა (ე.ი. როდესაც არჩევანის უფლების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ერთი ან რამდენიმე პირობა დაკმაყოფილებულია) და ამ პირობების მატერიალიზების ალბათობა.

ბ) ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით. კომპანიამ გამოიყენა ერთი და იგივე დისკონტირების განაკვეთი მეტ-ნაკლებად ანალოგიური მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებაში;

დეტალები ზღვრული სასესხო განაკვეთის შესახებ, იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, იხილეთ შენიშვნა 8.

შენიშვნა 4. ძირითადი საშუალებები

	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	აღჭურვილობა და ავეჯი	სულ
ისტორიული ღირებულება			
31.12.2022	3,405	3,892	7,297
შემოსვლა	1,383	771	2,154
გასვლა	-	(113)	(113)
31.12.2023	4,788	4,550	9,338
შემოსვლა	796	1,065	1,861
გასვლა	(57)	(158)	(215)
31.12.2024	5,527	5,457	10,984
დაგროვილი ცვეთა			
31.12.2022	(926)	(2,375)	(3,301)
ცვეთა	(508)	(717)	(1,225)
გასვლა	-	105	105
31.12.2023	(1,434)	(2,987)	(4,421)
ცვეთა	(843)	(903)	(1,746)
გასვლა	7	137	144
31.12.2024	(2,270)	(3,753)	(6,023)
საბალანსო ღირებულება			
31.12.2023	3,354	1,563	4,917
31.12.2024	3,257	1,704	4,961

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების განცალკევებულად აღრიცხული კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება შესაბამისი კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევისთანავე.

ცვტა, ძირითადის საშუალებების ღირებულების მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე გადანაწილების მიზნით, გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ხელმძღვანელობა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადას განსაზღვრავს განსჯით, რომელიც ეყრდნობა ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება, ხშირად განაპირობებს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ჯგუფის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება. გათვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვტა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული დაძველება. ძირითადი საშუალებების წარდგენილი ჯგუფებისათვის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

- იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება/კეთილმოწყობა - 5 წლიდან 10წლამდე,
- აღჭურვილობა და ავეჯი - 5 წლიდან 12 წლამდე

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და წარდგენილია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, სხვა მოგება/(ზარალის) მუხლში.

აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ, თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

შენიშვნა 5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31-დეკ-24	31-დეკ-23
სავაჭრო მარაგები	27,901	22,857
სხვა	3	438
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	27,904	23,295

მარაგების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ - აღრიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, ტრანსპორტირებისა და დასაწყობების ხარჯებს.

მარაგები გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით (პირველი შემოსავალი - პირველი გასავალი). მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

შენიშვნა 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-24	31-დეკ-23
სავაჭრო-დებიტორული დავალიანება	513	1,116
გადახდილი ავანსები	1,046	489
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,559	1,605

სავაჭრო-დებიტორული დავალიანება წარმოადგენს საქონლის საბითუმო და საცალო გაყიდვებიდან წარმოშობილ მოკლევადიან მოთხოვნებს (ჩვეულებრივ არაუმეტეს 60 დღემდე სახელმეკრულებო ხანდაზმულობით).

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება უპირობოდ მისაღები კომპენსაციის ღირებულებით (ჯგუფს არ გააჩნია მომხმარებლებთან სავაჭრო ურთიერთობები, რომლებიც მოიცავენ მნიშვნელოვან ფინანსირების კომპონენტს), ხოლო შემდგომ იზომება ამორტიზირებული ღირებულებით, რომელიც თავის მხრივ, შემცირებულია მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხით. მოთხოვნების მოკლევადიანი ბუნებიდან გამომდინარე - ამორტიზების ეფექტი ტრივიალურია.

მოთხოვნები ჩამოიწერება თუ მათ მიმართ აღარ არსებობს ამოღების მართლზომიერი მოლოდინი.

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაცემული კომპენსაციის ღირებულებით.

კომპანია არსებითად საცალო ვაჭრობით ოპერირებს, რაც განაპირობებს საკრედიტო გაყიდვების უმნიშვნელო წილს. საქონლის მიწოდებისათვის კუთვნილ ანაზღაურებას კომპანია არსებითად იღებს მყისიერად, მიწოდებამდე ან მიწოდების მომენტში. კომპანიის სავაჭრო დებიტორებს ძირითადად წარმოადგენენ შპს ალტა-ს ჯგუფის კომპანიები და ფინანსური ინსტიტუტები, რომლებისგანაც კომპანიას 31 დეკემბრისათვის არ მიუღია საბანკო ბარათებითა და განვადებით ანგარიშსწორების შედეგად კუთვნილი თანხები. ამრიგად, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი თანდაყოლილი საკრედიტო რისკი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შენიშვნა 7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31-დეკ-24	31-დეკ-23
ნაღდი ფული	225	187
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1,910	3,317
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	48	100
ფული გზაში	258	1,040
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2,441	4,644

ფულადი სახსრები ბანკში წარმოადგენს მომსახურე ბანკებში, მიმდინარე ანგარიშებზე მოთხოვნამდე განთავსებულ თანხებს. მიმდინარე ანგარიშებზე ღარიცხული სარგებელი შეადგენს 138 ლარს (2023: 76, შენიშვნა 14).

შენიშვნა 8. იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები:

	31-დეკ-24	31-დეკ-23
გამოყენების უფლებით არსებული აქტივები:		
შენობა-ნაგებობები (კომერციული და სასაწყობო)	23,704	16,874
სულ აქტივები	23,704	16,874
საიჯარო ვალდებულებები:		
მიმდინარე	4,459	4,113
გრძელვადიანი	20,744	13,240
სულ ვალდებულებები	25,203	17,353

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილი აქტივები:

	31-დეკ-24	31-დეკ-23
გამოყენების უფლებით არსებული აქტივების ცვეთა (შენიშვნა 13)	4,688	4,359
პროცენტის ხარჯი (შენიშვნა 16)	1,227	1,080
ცვლადი ხარჯი	1,059	991
სულ იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	6,974	6,430

იჯარასთან დაკავშირებულმა საერთო ფულადმა გასავალმა 2024 წელს შეადგინა 5,315 ლარი (2023: 4,762 ლარი).

კომპანია იჯარით ფლობს სასაწყობო და სავაჭრო ფართებს. იჯარის ხელშეკრულებები ფორმდება 18 თვიდან 10 წლამდე ვადით, მაგრამ შეიძლება მოიცავდნენ ურთიერთობების გახანგრძლივების შესაძლებლობასაც.

უძრავი ქონებასთან დაკავშირებულ იჯარების შემთხვევაში, როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, არ ხორციელდება საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტების გამოყოფა და სრულად განიხილება როგორც ერთიანი იჯარის კომპონენტი.

იჯარის პირობები ყოველი ცალკეული კონტრაქტისათვის ინდივიდუალური მოლაპარაკებების საგანია. ეს შეთანხმებები არ მოიცავენ რაიმე შემზღუდველ პირობებს გარდა იჯარით აღებული აქტივების უსაფრთხოებისა. აგრეთვე, დაუშვებელია მათი გამოყენება სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით.

იჯარიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად იზომება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებების წმინდა მიმდინარე ღირებულება მოიცავს (მათი არსებობის შემთხვევაში) შემდგომ სახდელებს:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის, არსებითად ფიქსირებული გადახდები), წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით;
- ნარჩენი ღირებულების გარანტიები, რომლებიც შეიჯარისთვის გარანტირებულია მოიჯარის მიერ, მოიჯარესთან დაკავშირებული მხარის მიერ, ან შეიჯარისგან დამოუკიდებელი ნებისმიერი მესამე მხარის მიერ, რომელსაც შეუძლია ამ საგარანტიო ვალდებულების ფინანსურად შესრულება;
- საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების გამოყენების ფასი, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის გათვალისწინებული ჯარიმები, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლების გამოყენებას.

ვალდებულების გაზომვისას ასევე გაითვალისწინება ის გადახდები, რომლებიც განხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელის ხდომილობა მართლზომიერად სარწმუნოა.

სახდელები დისკონტირდება იჯარაში განივთული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუკი ამგვარი განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, როგორც ეს კომპანიას იჯარების უმრავლეს შემთხვევაშია, გამოიყენება მოიჯარის (კომპანიას) ზღვრული სასესხო განაკვეთი. ზღვრული სასესხო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

იჯარის სახდელები იყოფა ძირის დაფარვად და ფინანსურ ხარჯად. ფინანსური ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იჯარის მოქმედების განმავლობაში.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ გაზომვას;
- იჯარის დაწყებამდე განხორციელებულ გადახდებს;
- სხვა რაიმე პირდაპირ დანახარჯებსა, და
- აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივების ცვეთა გაანგარიშებულია წრფივი მეთოდით, სასიცოცხლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმცირეს პერიოდზე. თუ კომპანიას მიერ აქტივის გამოსყიდვის, კონტრაქტით გათვალისწინებული, ოფციის გამოყენება მართლზომიერად სარწმუნოა, გამოყენების უფლებით არსებული შესაბამისი აქტივის ცვეთის ვადად განისაზღვრება მისი სასიცოცხლო ვადა.

მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული სახდელები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით. მოკლევადიანად განიხილება იჯარები, რომელთა ხანგრძლივობაც არ აღემატება 12 თვეს.

ცვლადი საიჯარო სახდელები

კომერციულ ფართებთან დაკავშირებული ზოგიერთი იჯარა მოიცავს შესაბამისი მაღაზიის ამონაგებთან დაკავშირებულ ცვლად სახდელებს. ზოგიერთ შემთხვევაში, საიჯარო სახდელები მთლიანად დაკავშირებულია მაღაზიის ამონაგებთან (გაყიდვების 3%-დან 10%-მდე). ამონაგებზე დამოკიდებული ცვლადი სახდელები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება იმავე პერიოდში, რომელშიც აღიარდება შესაბამისი ამონაგები.

საიჯარო ურთიერთობების გახანგრძლივებისა და შეწყვეტის უფლებები

იჯარის ზოგიერთი ხელშეკრულება მოიცავს შეთანხმებულ გახანგრძლივებისა და შეწყვეტის უფლებებს. ეს დათქმები გამიზნულია აქტივების მართვის, კერძოდ მათი ოპერაციული მოქნილობის მაქსიმიზაციისაკენ. ამგვარი უფლებების უმრავლესობა წარმოადგენს კომპანიას ექსკლუზიურ პრეროგატივას.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა გარემოებას, რომელიც ბადაებს ეკონომიკურ მოტივაციას გახანგრძლივდეს არსებული ურთიერთობა ანდა არ იქნას გამოყენებული შეწყვეტის უფლება. ადრიცხულ იჯარის ვადებში გახანგრძლივებისა და შეწყვეტის ვადები (პერიოდები) გაითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მართლზომიერად სარწმუნოა ამ სახელშეკრულებო უფლებების გამოყენება.

შენიშვნა 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-24	31-დეკ-23
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	16,183	18,288
გადასახდელი ხელფასები	462	468
მიღებული ავანსები (სახელშეკრულებო ვალდებულებები)	2,189	1,958
სულ კრედიტორული დავალიანება	18,834	20,714

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მხარე შეასრულებს დათქმულ ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ჯგუფის სავაჭრო კრედიტორული დავალიანება 3 თვემდე ვადის მოკლევადიანი ფინანსური ინსტრუმენტებია.

მიღებული ავანსები (სახელშეკრულებო ვალდებულებები) ასახულია მიღებული კომპენსაციის ღირებულებით.

შენიშვნა 10. შემოსავალი

	2024	2023
საინფორმაციო და საყოფაცხოვრებო ტექნიკა	234,365	220,085
სხვა	9,384	7,841
სულ შემოსავალი	243,749	227,926

შემოსავლები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად შესაძლებელია ოპერაციის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება და თანხობრივად ამ შემოსავლის საიმედოდ შეფასება. აღიარების მომენტი არ არის დამოკიდებული ეკონომიკური შემოსავლის ფაქტობრივად მიღების დროზე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები შეთავაზების სამართლიანი ღირებულებით გადასახადების გარეშე. ამ პროცესში გაითვალისწინება გადახდის პირობები. კომპანია წარმოადგენს გამყიდველს და არა აგენტს ან მინდობილ პირს ყველა მის შემოსავლის მიმღებ ოპერაციაში, მას აქვს ფასდადების პროცესის კონტროლი, მასზე ზემოქმედებს ოპერაციის შედეგად წარმოშობილი საკრედიტო რისკი.

საქონლის რეალიზაცია

საქონლის რეალიზაცია აღიარდება მაშინ, როდესაც საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადადის მყიდველზე, ზოგადად, ეს ფაქტი შემთხვევაში დგება საქონლის დათქმულ ადგილზე მიწოდების მომენტში.

მომსახურება

გაყიდული მომსახურების აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით.

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვან საქონელს. არის შემთხვევები, როდესაც შემოსავლის აღიარებასა და ანაზღაურების გადახდას შორის არის დროითი სხვაობა.

თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან საწარმოს უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, საწარმო ხელშეკრულებას წარადგენს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ მოვლენებიდან).

სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

კომპანიამ გამოიყენა ფასს 15.121-ით გათვალისწინებული პრაქტიკული მიზანშეწონილობა და არ წარადგენს ინფორმაციას შეუსრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებაზე განაწილებული გარიგების ფასის აგრეგირებული თანხის შესახებ, რომლის შესაბამისი ხელშეკრულების თავდაპირველი ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

კომპანიას 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები. სახელშეკრულებო ვალდებულებები (მიღებული ავანსები) წარმოდგენილია „სავაჭრო და სხვა ვალდებულებების“ მუხლში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (შენიშვნა 9).

შენიშვნა 11. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2024	2023
საინფორმაციო და საყოფაცხოვრებო ტექნიკა	210,251	196,612
სხვა	1,950	5,982
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	212,201	202,594

შენიშვნა 12. სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები

	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	7,114	6,297
ცვთის და ამორტიზაციის ხარჯი	6,476	5,601
იჯარის ტექნიკური მომსახურების ხარჯი	1,059	991
მარკეტინგისა და პრომოუშენის ხარჯი	4,999	4,937
ბანკის საკომისიო ხარჯი	1,369	1,496
ცვლადი და მოკლევადიანი იჯარის ხარჯი	2,656	2,466
სხვა	1,220	1,470
სულ	24,893	23,258

შენიშვნა 13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
პერსონალის ხარჯი	649	846
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი	723	494
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	120	105
სხვა	65	62
სულ	1,557	1,507

შენიშვნა 14. წმინდა ფინანსური ხარჯი

	2024	2023
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(1,227)	(1,080)
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის სხვაობა	(577)	85
საპროცენტო შემოსავალი	138	76
სულ სხვა შემოსავალი (ხარჯი), ნეტო	(1,666)	(919)

შენიშვნა 15. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	2024	2023
ბალანსი 1 იანვრის მდგომარეობით	17,353	17,262
ფულადი ნაკადებით მიღებული ცვლილება:		
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(5,315)	(4,762)
არაფულადი ცვლილება საიჯარო ვალდებულებებში	13,165	4,853
ბალანსი 31 დეკემბრის მდგომარეობით	25,203	17,353

არაფულადი ცვლილება საიჯარო ვალდებულებებში შედგება მიმდინარე პერიოდის გადაუხდელი დარიცხვების, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების გადაფასებისა და ახალი იჯარის ხელშეკრულებების (ან არსებული მოდიფიცირების) ასახვის ეფექტებისაგან.

შენიშვნა 16. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

ფინანსური რისკი

კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
 - o საპროცენტო რისკი
 - o უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის, დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა კატეგორიების მიხედვით

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, ასევე საიჯარო ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები, როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-24	31-დეკ-23
ფინანსური აქტივები		
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	2,441	4,644
- სავაჭრო მოთხოვნები	513	1,116
სულ ფინანსური აქტივები	2,954	5,760
ფინანსური ვალდებულებები		
- სავაჭრო-კრედიტორული დავალიანება	16,645	18,756
- საიჯარო ვალდებულებები	25,203	17,353
სულ ფინანსური ვალდებულებები	41,848	36,109

წარდგენილი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით,

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, ხოლო დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოოდ დარჩენა და ამავედროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას კაპიტალის ზრდით, დივიდენდების განაწილებით და ა.შ.

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგება კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით და ა.შ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

ზოგადად, საბაზრო რისკები წარმოიქმნება დია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში, და გ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	31-დეკ-24			31-დეკ-23		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია
ლარი	2,906	16,645	(13,739)	5,660	18,756	(13,096)
აშშ დოლარი	39	24,965	(24,926)	90	17,002	(16,912)
ევრო	9	238	(229)	10	351	(341)
სულ	2,954	41,848		5,760	36,109	

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის, ასევე, საკუთარი კაპიტალის მგრძნობელობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	31-დეკ-24		31-დეკ-23	
	ზეგავლენა, მოგება ზარალზე	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე	ზეგავლენა, მოგება ზარალზე	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(2,493)	-	(1,691)	-
აშშ დოლარის დასუსტება 10%-ით	2,493	-	1,691	-
ევროს გამყარება 10%-ით	(23)	-	(34)	-
ევროს დასუსტება 10%-ით	23	-	452	-

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ მომხმარებელთათვის პროდუქციის კრედიტით მიყიდვისას (აგრეთვე, სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები).

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31-დეკ-24	31-დეკ-23
დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო-დებიტორული დავალიანება	513	1,116
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	2,441	4,644
საკრედიტო რისკის მაქსიმუმი	2,954	5,760

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწესებულებაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსი მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიის შეფასებით საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნოლის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისათვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

სავაჭრო-დებიტორული დავალიანება - კომპანიის სავაჭრო დებიტორებს ძირითადად წარმოადგენენ შპს ალტა-ს ჯგუფის კომპანიები და ფინანსური ინსტიტუტები, რომლებისგანაც კომპანიას 31 დეკემბრისათვის არ მიუღია საბანკო ბარათებითა და განვადებით ანგარიშსწორების შედეგად კუთვნილი თანხები. ამრიგად, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ამ მუხლთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, არსებითად ნულია.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები, გადახდის დარჩენილი ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი სახსრების ნაკადები დისკონტის გარეშე. ამგვარი ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ვალდებულებების ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ნაშთებისგან.

სხვა ვალუტაში გადახდები გამოთვლილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კრუსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	იჯარა	სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	სულ
31-დეკ-2024:			
მოთხოვნისთანავე და 6 თვემდე	6,392	16,645	23,037
12 თვიდან 5 წლამდე	24,737	-	24,737
სულ 31-დეკ-2024	31,129	16,645	47,774
31-დეკ-2023:			
მოთხოვნისთანავე და 6 თვემდე	5,249	16,645	21,894
12 თვიდან 5 წლამდე	14,278	-	14,278
სულ 31-დეკ-2023	19,527	16,645	36,172

მენიშვნა 17. დაკავშირებული მხარეები

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ა) სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები:

	2024	2023
ამონაგები		
დამფუძნებელი	3	26
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიები	27	12
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები		
დამფუძნებელი	(775)	(769)
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიები	-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
დამფუძნებელი	(222)	(212)
ფინანსური ხარჯი, წმინდა		
დამფუძნებელი	(6)	(7)
უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება		
მოკლევადიანი ანაზღაურება	(56)	(91)

ბ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ნაშთები:

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
დამფუძნებელი	-	-
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიები	-	3
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
დამფუძნებელი	14,511	16,912
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიები	-	126
საიჯარო ვალდებულებები		
დამფუძნებელი	134	89

კომპანიას 2024 წელს შეძენილი აქვს 214,730 ათასი ლარის ღირებულების მარაგი შპს ალტასგან (2023: 207,317 ათასი ლარი). ასევე, კომპანიას 2024 წელს მიღებული აქვს მომსახურება შპს ალტასგან ჯამური ღირებულებით 8,448 ათასი ლარი (2023: 1,023 ათასი ლარი), რომელიც წარდგენილია „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში“, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შენიშვნა 18. განუსაზღვრელობა და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიას წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ სარჩელების გამო, კომპანიას მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებდა და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. ჯგუფის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შევითხვები გაუჩნდეთ შესაბამისი უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც აღრე არ ჰქონიათ შევითხვები, ახლა გაჩნდეს შევითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

შენიშვნა 19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად დამტკიცება. ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 1 ოქტომბერს. ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამომშვების შემდეგ.

შენიშვნა 20. სხვა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვევით მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა, რომელიც პოტენციურად მნიშვნელოვანია, სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აღწერილ სააღრიცხვო მიდგომებთან ერთად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ნაშთებისა და მოვლენების აღსაქმელად. აღწერილი პოლიტიკა გამოყენებულია თანმიმდევრულად, ყველა წარდგენილ პერიოდში.

21.1 უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება

(ა) სამუშაო და წარდგენის ვალუტა

ჯგუფის თითოეული ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც მოცემული ერთეული ფუნქციონირებს. ჯგუფის სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთებია:

	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2023	2.6894	2.9753
31 დეკემბერი 2024	2.8068	2.9306

(ბ) ოპერაციები და ნაშთები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

21.2 დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული ჩასათვლელი დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოვლენებს (ა) მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან (ბ) პროდუქციის, ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისათვის. დასაბრუნებელი დღგ ზოგადად ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ს მიმართ, დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს ნეტო საფუძველზე დაფარვის ნებას იძლევიან. რეალიზაციასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ-ს აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც შექმნილია დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

21.3 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი ღირებულება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

21.4 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

21.5 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შესაბამეა ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად: „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები). ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნებისათვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკით, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები წარდგენილია წმინდა ღირებულებით.

ამორტიზებული ღირებულებით წარდგენილი ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და მომსახურე ბანკებში განთავსებულ ფულად სახსრებს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა)კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

თავდაპირველად, ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება რეალური ღირებულებით (სესხების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები), ხოლო შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებსა და სესხებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიყვანოს გარიგების მსურველ მხარეებ შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა, ან ლიკვიდაციისა, და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის

ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლე ვადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიღებული სესხები და სხვა ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთების მქონე ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიმდინარე საპროცენტო განაკვეთები აღებულია იმ ახალი ინსტრუმენტებისგან, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. გაცემული სესხები და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

21.6 ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა კომპანიისთვის 2024 წლის 1 იანვრიდან, თუმცა კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში. ფინანსური პირობების (Covenants) მქონე გრძელვადიანი ვალდებულებები შესწორებები ბასს 1-ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან) ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში შევიდა 2020 და 2022 წელს. აღნიშნული შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. ხელმძღვანელობის მოლოდინები ბალანსის შემდეგ თარიღებში (პირობების შესრულების განთავისუფლებასთან და პირობების დარღვევასთან დაკავშირებით) გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

ფინანსური პირობები არ ახდენს ვალდებულების ვადიანობის მიხედვით კლასიფიკაციაზე თუ პირობების შესაბამისობის მოთხოვნა დგება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ პერიოდში. იმ შემთხვევაში კი როდესაც პირობებთან შესაბამისობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბალანსის თარიღისთვის ან უფრო ადრე მაშინ შესაბამისობა ახდენს მიმდინარე და გრძელვადიანი წარდგენის წარდგენის კლასიფიკაციაზე იმის მიუხედავად რომ შესაბამისობის ტესტირება მოხდება მხოლოდ ბალანსის შედგენის შემდეგ.

თუ საწარმო წარადგენს ვალდებულებას გრძელვადიანად და ფინანსური პირობების შესაბამისობა უნდა გაიტესტოს ბალანსის შედგენის შემდეგ 12 თვის პერიოდში მაშინ ცვლილება მოითხოვს ახსნა განმარტების წარდგენას. ახსნა განმარტება უნდა მოიცავდეს:

- ვალდებულების საბალანსო ღირებულებას;
- ფინანსური პირობების დეტალებს;
- ფინანსური პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სირთულეების ამსახველ ფაქტებს და გარემოებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვლილება ასევე სპეციფიკურად განმარტავს ვალდებულების დაფარვის მცნებას, როდესაც მეორე მხარეს ოპციით აქვს უფლება დაფარვა მოხდეს კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. ცვლილება უნდა იქნას გამოყენებული რეტროსპექტიულად ბასს 8 შესაბამისად. სპეციალური დანერგვის მინიშნებები არსებობს თუ კომპანია ადრე დანერგავს სტანდარტს.

საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის პირობებში - ცვლილება ფასს 16 ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). 2022 წლის სექტემბერში საბჭომ (IASB) მიიღო ცვლილება ფასს 16 იჯარებში ასახული გაყიდვასა და უკუიჯარის ოპერაციებთან დაკავშირებით. ცვლილება განმარტავს ოპერაციის თაღისათვის ოპერაციის ასახვის დეტალებს. ცვლილების განსაზღვრავ გამყიდველი მოიჯარე მიერ საიჯარო გადახდების განსაზღვრის დეტალებს.

მომწოდებლის ფინანსირების გარიგებები - ცვლილება ბასს 7 და ფასს 7 ში - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). საბჭომ (IASB) გამოუშვა ახალი ახსნა განმარტებათა მოთხოვნებთან დაკავშირებული ცვლილება ბასს 7 და ფასს 7. ცვლილების მიზანია დამატებით ინფორმაციის წარდგენა ინვესტორებისათვის მომწოდებელთა ფინანსირების (SFA) გარიგებებთან დაკავშირებით. ახალი ახსნა განმარტებები მოითხოვს ინფორმაციას მომწოდებლების დაფინანსების პირობების შესახებ:

1. იმ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება და მათი წარდგენის დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია ან SFA ნაწილია.
2. ფინანსური ვალდებულების ნაწილი რომლებზეც ფინანსურების უზრუნველყოფელმა მოახდინა გადახდა.
3. გადასახადელი თანხების ზღვარი და ვადიანობა რომელიც დაკავშირებულია SFA - სთან, და შესადარისი

სავაჭრო ვალდებულება რომელიც ამ გარიგების ნაწილი არ არის.

4. შესაბამისი ფინანსური ვალდებულების ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია არაფულად ოპერაციებთან.

5. SFA წვდომა და ლიკვიდურობის რისკი შესაბამისი ფინანსირების უზრუნველყოფებთან.

საბჭო ათავისუფლებს სუბიექტებს შესადარისი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნისაგან პირველად დანერგვისას, განთავისუფლება ეხება საწყის ნაშთებსაც.

21.7 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგილი

კომპანიამ ვადამდე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 21-ის ცვლილებები - გაცვლის შეუძლებლობა (ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან). 2023 წლის აგვისტოში IASB-მა გააუმჯობესა ბასს 21 და დაამატა მოთხოვნები, რომლებიც დაეხმარება სუბიექტებს, განსაზღვრონ, შესაძლებელია თუ არა, ვალუტის სხვა ვალუტაში გაცვლა და რა კურსი უნდა გამოიყენონ გაცვლის შეუძლებლობის შემთხვევაში. ამ ცვლილებამდე ბასს 21 ასახავდა გაცვლითი კურსის გამოყენებას მაშინ, როდესაც გაცვლა დროებით არ იყო შესაძლებელი, მაგრამ არ განიხილავდა იმ შემთხვევას, როდესაც გაცვლის პრობლემა მუდმივი იყო.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები – ცვლილებები ფასს 9 და ფასს 7-ში (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან). 2024 წლის 30 მაისს IASB-მა გამოუშვა ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტების მიზნობრივი ცვლილებები, რათა უზრუნველყოს პრაქტიკაში გაჩენილ ახალ შეკითხვებს და შეიტანოს ახალი მოთხოვნები არა მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტებისთვის, არამედ კორპორაციული საწარმოებისათვის. ამ ცვლილებებში შედის:

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და გაუქმების თარიღების დაზუსტება ახალი გამონაკლისით, რომელიც შეეხება ელექტრონული სისტემის მეშვეობით გადახდილ ზოგიერთ ფინანსურ ვალდებულებას.
- დამატებითი განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს, შეესაბამება თუ არა ფინანსური აქტივი ძირისა და პროცენტის კრიტერიუმებს.
- ახალი განმარტებითი შენიშვნების დამატება გარკვეული ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც შეიცავს ისეთ პირობებს, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადი (მაგალითად: ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც აქვთ გარემოს, სოციალური და მართვის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული მახასიათებლები).
- განმარტებითი შენიშვნების განახლება აქციების ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში.

მეორე პუნქტში მოცემული განახლებები მეტწილად შეესაბამება ფინანსურ ინსტიტუტებს, ხოლო დანარჩენ პუნქტებში მოცემული ცვლილებები ყველა საწარმოსათვის რელევანტურია.

ფასს 9-ისა და ფასს-ის ცვლილებები ეფექტური იქნება წლიური ანგარიშგების პერიოდებისათვის და ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან ან მოგვიანებით.

ფასს 18, პრეზენტაცია და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან). ახალი სტანდარტი ანაცვლებს ბასს 1-ს და ორიენტირებულია მოგება-ზარალის უწყისის განახლებებზე.

ფასს 18-ში წარდგენილი ძირითადი საკითხები ეხება:

- მოგება-ზარალის უწყისის სტრუქტურას
- მოგება-ზარალის უწყისში ხარჯების პრეზენტაციისათვის ყველაზე გამოსადეგი სტრუქტურის განსაზღვრას.
- საჭირო განმარტებითი შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც შეეხება გარკვეული მოგების ან დანაკარგის შესრულების ზომებს, რომლებიც წარმოდგენილია კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების გარეთ (მენეჯმენტით განსაზღვრული შესრულების ზომები).
- გაფართოებულ პრინციპებს აგრეგაციისა და დისაგრეგაციის შესახებ, რომლებიც ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 19-დედა კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან). მოცემული ახალი სტანდარტი მუშაობს ფასს-ის სხვა სტანდარტებთან ერთად. შესაფერისი შვილობილი კომპანია ატარებს ანგარიშგების სტანდარტებში არსებულ ფასს-ის სხვა მოთხოვნებს, განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების გარდა და იყენებს შემცირებულ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს. ფასს 19 წარმოადგენს ნებაყოფლობით სტანდარტს შესაფერისი შვილობილი კომპანიებისათვის.

შვილობილი კომპანია შესაფერისია თუ:

- არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

- ჰყავს ძირითადი ან შუამავალი დედა კომპანია, რომელიც აწარმოებს ფასს-ის სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

